„სახელმწიფო კანკალარია მისი (გრიგოლ ორბელიანის - გვ.), როგორც კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებლის, ნებართვის საფუძველზე აკამოფილავს ილია ჭავჭავაძის ოფიციალურ თხოვნას ქართული ჟურნალის - „საქართველოს მოამბე“ გამოცემის შესახებ იმ პირობით, რომ მასში არ დაიბეჭდებოდა პოლიტიკური სტატიები.“

„საქართველოს მოამბე“ მხოლოდ ერთი წელი იარსება.

მართლაც რომ იარსება.

ყველა ნომერს გაცნობილი ვარ მიზეზთა გამო და ახლა, მართლაც ვერ ვიხსენებ რომელიმე ნომერის პოლიტიკური სტატია დაბეჭდილიყო. „პოლიტიკის კეთებამდე“ ქართული ენა, თეატრი, კულტურა იყო გადასარჩენი და გადიოდა წლები, ლამის ათეული წელი, ვიდრე დადგებოდა წელი 1871 (19 სექტემბრამდე).

სწორედ იმ ხანად „თბილისში რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე II-ის მოახლოებულ ვიზიტთან დაკავშირებით ედება კომისია მისთვის მისართმევი ადრესის შესადგენად. კომისიის შემადგენლობაში შედიან როგორც ახალი (ილია ჭავჭავაძე, ივანე თარხნიშვილი, ბესარიონ ლოლობერიძე, ნიკო ნიკოლაძე), ისე ძველი თაობის წარმომადგენლები (გრიგოლ ორბელიანი, მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი, დიმიტრი ვორონოვი და რევაზ ანდრონიკაშვილი). პირველი ვაგუფის ძალიანსმევეთ იმპერატორისთვის წარსადგენ ადრესში წერენ უნივერსიტეტის გახსნის თხოვნას.“

ესრეთი ველო ან ცრემლით, ან განშორებით განაქრობს თვისსა სიყვარულს, თეთს ტანჯვათ და მერმე ნებით კი ღიხნობს რა ჩემბერ გული კლდოვანი მთადებს ემყის ბეჭვსა, დრო იმს ვეღარ შეჭმუნსავს, თუ არ შეჭმუნსავს, თეთს კლდესა. გეტრფე, ვიდრემდის ვუმზერ მე მხის შექმსა, ნათელს მოივარის ვიდრემდის ოხრვა ვინდ ერთი, მშობიამ ნიშნად, სიცოცხლის!

ზემოხსენებულ სტატიას ვუბრუნებები და დაბრუნებისამებრ, ერთ ამონარიდს ვთავაზობთ:

„აი, თუ ვინდათ, ვადვიკითხოთ მისის „ციცკარი“; აქ არის მხოლოდ ორი ლექსი-თხზულება: „ნამდობი მოხუცისა“ და მერე „გამოსაღება“. პირველია თხზულება თავ. რაფიელ ერისთავისა და მერე - თ. გრიგოლ ორბელიანისა.

ეს ორი თხზულება, ვალექსილი კარგის ხელთაგან და გრძობით, მეტადრე „გამოსაღება“, მოკლედ და მკაფიოდ

უნდა დაეგვა სექტუკალები, მგრამ ილია ჭავჭავაძის მსახიობები წარმოდგენებს არ მართავდნენ. ეს ფაქტი მიმოხილვის ავტორის თეატრისთვის საზიანოდ მანჩა და სურველს გამოთქვამს, რომ დასი კვლავ გაერთიანდეს.“

აქასხლანხან ხსენებულ დასს სულ სხვა დროს და ადვილზე, ჩვენ აუცილებლად

უნდა დაეგვა სექტუკალები, მგრამ ილია ჭავჭავაძის მსახიობები წარმოდგენებს არ მართავდნენ. ეს ფაქტი მიმოხილვის ავტორის თეატრისთვის საზიანოდ მანჩა და სურველს გამოთქვამს, რომ დასი კვლავ გაერთიანდეს.“

აქასხლანხან ხსენებულ დასს სულ სხვა დროს და ადვილზე, ჩვენ აუცილებლად

უნდა დაეგვა სექტუკალები, მგრამ ილია ჭავჭავაძის მსახიობები წარმოდგენებს არ მართავდნენ. ეს ფაქტი მიმოხილვის ავტორის თეატრისთვის საზიანოდ მანჩა და სურველს გამოთქვამს, რომ დასი კვლავ გაერთიანდეს.“

აქასხლანხან ხსენებულ დასს სულ სხვა დროს და ადვილზე, ჩვენ აუცილებლად

ჩვენი მოჭადრაკების შედეგები უდავოდ წარმატებულად უნდა შეფასდეს

ჩეხეთის დედაქალაქ ქ. პრაღაში დამთავრა ევროპის საჭადრაკო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის, რომელშიც 8,10,12,14,16 და 18 წლამდე ასაკის, კონტინენტის უძლიერესი გოგონები და ჭაბუკები მონაწილეობდა. ჩემპიონატში სხვადასხვა ქვეყნის 1300-ზე მეტ მონაწილეს შორის, საქართველოს 25 წარმომადგენელი ასპარეზობდა. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ქართველმა ახალგაზრდებმა კარგად წარმოაჩინეს თავი. მათგან 8 წლამდე ასაკში **ლილე სვანაძემ** და 14 წლამდე ასაკში **მარიამ კალანდაძემ** ვიცე-ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს, ხოლო **კესარია მგელაძე**(14წ) ბრინჯაოს მედალოსანი გახდა. 16 წლამდე ასაკში დიდებულად ითამაშა **მარიამ ცეცხლაძემ**, მან 7-7 ქულით I-IV ადგილები გაიყო, რეიტინგიც კარგად მოიმატა, თუმცა შვეიცარიული სისტემის დამახასიათებელმა უილბლობამ მედალი არ შეახვედრა. ზოგადად ქართველმა მოჭადრაკებმა კარგი შედეგებით დაამთავრეს ჩემპიონატი. 25-დან ოცმა მოჭადრაკემ მნიშვნელოვანად გაიუმჯობესა რეიტინგი, ანუ შესაძლო ქულების 60% და მეტის



აღება. (მხოლოდ ორ მოჭადრაკეს დაუფიქსირდა რეიტინგის კლება). ჩემპიონატში კარგად ითამაშა 10 წლამდე ასაკში მოასპარეზე ოზურგეთელმა **ლაზარე ჩხარტიშვილმა**. მან ქულების 60% აიღო და რეიტინგული მაჩვენებლის მომატებით, ერთერთი საუკეთესო შედეგი (105,2) აჩვენა, პრაქტიკულად მან შარშან მსოფლიო პირველობაზე ნაჩვენებ შედეგი გააუმჯობესა და იმედია უკეთესი მიღწევა ექნება წელსვე, ნოემბერში მსოფლიო

პირველობაზე, სადაც მონაწილეობის უფლება უკვე მოპოვებული აქვს. ჩემპიონატში მონაწილეთა დონით თუ ვიმსჯელებთ, იგი ყველა ასაკობრივ კატეგორიაში ძალიან მაღალი იყო, ამიტომ ჩვენი მოჭადრაკების შედეგები უდავოდ წარმატებულად უნდა შეფასდეს.

ჯურაბ ანდლულაძე,
გურიის ჭადრაკის ფედერაციის
თავმჯდომარე

მადლობის ბარათი

სოფელი სილაური, ენვერ ღობორჯინიძეს

უპირველესად დიდი პატივისცემით მოგიკითხავთ და ჩემს სათქმელსაც გეტყვით.

მადლობით დავიწყებ, იმ დღეს ბალის საკამზე დარჩენილი საფულე თქვენი წყალობით, ხელუხლებელი დამიბრუნდა. მადლობელი ვარ ამისათვის.

დამაინტერესა, ვინ იყავით ასეთი კეთილსინდისიერი ადამიანი. გავიგე და ისიც მითხრეს, მართლა კარგი კაცი იყო და ამაზე უკეთესი რა შეიძლება ითქვას პიროვნების შესახებ.

გამიხარდა, ასეთი რომ ბრძანდებით. განსაკუთრებით იმიტომ, რომ მე ბებია მყავდა თქვენი გვარის ქალი – სონია ღობორჯინიძე, ოღონდ იგი სოფელ ბაილეთიდან იყო გურიანთაში გათხოვილი.

ალბათ თქვენთვისაც სასიამოვნო იქნება ეს ამბავი.

ჩვენ არ ვიცნობთ ერთმანეთს, მაგრამ მე არასდროს დავივიწყებ თქვენს გულისხმიერებას და სამაგალითო საქციელს, რითაც ბევრისგან გამოირჩევით.

ღმერთმა მოგცეთ ჯანმრთელობა, ხანგრძლივი სიცოცხლე და დიდი ოჯახური ბედნიერება.

რამდენადაც ვიცი, უსაზღვრო მწუხარება გაქვთ გადატანილი. ღმერთმა გაკმაოთ.

გულსუნდა მასარაძე.


მინაწერი: რედაქციისათვის წერილი ჩაბარებული მქონდა, როცა გავიგე, რომ თქვენ ბიჭიკო ღობორჯინიძის შვილი ყოფილხართ.

მე და ჩემი კოლეგა ჟურნალისტები კარგად ვიცნობდით მას. ოზურგეთის სტამბაში იგი ითვლებოდა მაღალკვალიფიციურ და საქმის მცოდნე მუშაკად, უპრეტენზიო ადამიანი იყო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

ბ.მ.

სკანვორდი



		სამისნო წიგნი		ბანგლადეშის ფული				ცეცხლის ენა		თურქი ფერმწერი		
						თხელი ლაფი				ცივი ადგილი ანასეულში		
		ყველაზე კაშაშა ვარსკვლავი		ნაცვალსახელი						პაგარა საწნახელი		
										სპირტიანი სასმელი		მეტყველების ორგანო
		ღაღებიითი პასუხი			ქალის სახელი	მონა ქალი						
			ჩამონათვალი				შახტი		ეუერი მოფერებით			
				გრამატიკული კავშირი		ღიას						მეგრული სიმღერა
	სასიმინდე					მამაკაცის სახელი					ძაბა	
			საკუთარ თვალში რომ ვერ ხედავენ	კანონგარეშე გამოცხადებული სია								
	ქალაქი აფხაზეთში		ახალგაზრდა იურისტის ასოციაცია	მოჭადრაკე კრამლინგი		მოგება ნარდში	კურორტი იმერეთში	სითხის საზომი	ცნობილი ილუმინისტი	ბილიარდის ჯოსი		
				ბგერის წერითი ნიშანი			ჩხუბი					წერილმანების ქური
	წამლის ფორმა	საგანგებო ღვაწლები	მეორე ნოტი		ღერეფანი გალერეა							
			მეტყვე			ხშირი ტყე				განთიადი		


პასუხები:

სოლი – თბილისი; სახელი – მწიფე; ცეცხლის ენა – ცეცხლი; თურქი ფერმწერი – მინათი; ცივი ადგილი ანასეულში – მთიანეთი; პაგარა საწნახელი – პაგარა; სპირტიანი სასმელი – ღვინო; მეტყველების ორგანო – ხმა; მამაკაცის სახელი – მამა; საკუთარ თვალში რომ ვერ ხედავენ – კორიანტი; კანონგარეშე გამოცხადებული სია – სიკვდილიანი სასჯელი; მოჭადრაკე კრამლინგი – კრამლინგი; მოგება ნარდში – ნარდში; კურორტი იმერეთში – კურორტი; სითხის საზომი – ლიტრი; ცნობილი ილუმინისტი – ილუმინი; ბილიარდის ჯოსი – ბილიარდი; წერილმანების ქური – წერილმანი; წამლის ფორმა – პილულა; საგანგებო ღვაწლები – მხატვრობა; მეორე ნოტი – ნოტი; ღერეფანი გალერეა – გალერეა; ხშირი ტყე – ხეობა; განთიადი – განთიადი.

სოლი – თბილისი; სახელი – მწიფე; ცეცხლის ენა – ცეცხლი; თურქი ფერმწერი – მინათი; ცივი ადგილი ანასეულში – მთიანეთი; პაგარა საწნახელი – პაგარა; სპირტიანი სასმელი – ღვინო; მეტყველების ორგანო – ხმა; მამაკაცის სახელი – მამა; საკუთარ თვალში რომ ვერ ხედავენ – კორიანტი; კანონგარეშე გამოცხადებული სია – სიკვდილიანი სასჯელი; მოჭადრაკე კრამლინგი – კრამლინგი; მოგება ნარდში – ნარდში; კურორტი იმერეთში – კურორტი; სითხის საზომი – ლიტრი; ცნობილი ილუმინისტი – ილუმინი; ბილიარდის ჯოსი – ბილიარდი; წერილმანების ქური – წერილმანი; წამლის ფორმა – პილულა; საგანგებო ღვაწლები – მხატვრობა; მეორე ნოტი – ნოტი; ღერეფანი გალერეა – გალერეა; ხშირი ტყე – ხეობა; განთიადი – განთიადი.

ტირორისტული აქტები და პოლიტიკური მკვლელობები 1905 წლის რევოლუციისა და მის უმელოვო წლებში

დასაწყისი „ალიონი“ № 5-9. II-12



1906 წლის 7 მარტს ქუთაისის დროებითი გენერალ-გუბერნატორმა, გენერალ-მაიორმა მაქსიმ ალიხანოვ-ავარსკი ბრძანება გამოსცა ქუთაისის გუბერნიისა და ქალაქ ფოთში რევოლუციური მოძრაობის ჩახშობის მიზნით დამსჯელი ექსპედიციის მფრინავი რაზმების დანიშვნის შესახებ. ბრძანებაში აღნიშნული იყო:

1. სენაკის მაზრაში წესრიგის საბოლოოდ აღდგენის მიზნით გაიგზავნოს პოლიციური გავრილოვის რაზმი, რომლის შემადგენლობაში შევლენ: თბილისის მე-15 გრენადერთა პოლკის 5 ასული, კავკასიის მესანგრეთა 1-ლი ბატალიონის მე-4 ასული, კავკასიის გრენადერთა დივიზიის 2 ტყვიამფრქვევი, კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის 2 ქვემეხი და პოლტავის კაზაკთა მე-2 პოლკის მე-4 ასული. ბრძანებაში დაწვრილებით იყო ჩამოთვლილი, თუ როგორ უნდა ემოქმედა დამსჯელთა რაზმს: პოლიციური გავრილოვის რაზმი ქუთაისიდან გავიდეს 1906 წლის 8 მარტს; პოლიციურმა გავრილოვმა მოსახლეობას წაუყენოს ის მოთხოვნები, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობისადმი 1906 წლის 13 იანვარს გამოცემულ ჩემს მიმართვაში; გაბეული ღონისძიებებით უზრუნველყოფილ იქნას მოსახლეობისადმი წაყენებული მოთხოვნების დროულად შესრულება; ყოველგვარი წინააღმდეგობა და უწყესრიგობა სასტიკი ზომებით აღიკვეთოს; ჯარმა თავი არ შეიკავოს არანაირი ძალადობრივი მოქმედებისაგან, თუმცა მშვიდობიან მოსახლეობას არანაირი ზიანი და წყენა არ მიაყენოს; პოლიციური გავრილოვის რაზმს თან გაჰყვანონ ქუთაისის ვიცე-გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი თავადი დადემქელიანი და ადგილობრივი პოლიციის მოხელეები;

2. რაჭა-ლეჩხუმში 1906 წლის 12 მარტს გაემგზავროს ყუბის ქვეითთა 155-ე პოლკის 2 ასული, რათა სოფელ ალაბანასა (ლეჩხუმის მაზრა) და ონში (რაჭის მაზრა) შეცვალოს იქ მდგარი თბილისის გრენადერთა მე-15 პოლკის ასული. თბილისის გრენადერთა მე-15 პოლკის მე-4 ბატალიონის მეთაური პოლ-პოლიციური ციციანოვი დაინიშნოს ქუთაისის გუბერნიის ლეჩხუმისა და რაჭის მაზრებში განლაგებული

ჯარის მეთაურად და მასვე დაეკავებოდეს ცაგერში (ლეჩხუმი) განლაგებული ყუბის პლასტუნთა მე-5 ბატალიონის ასული;

ლეჩხუმის მაზრაში, როგორც ჩანს, დამსჯელი ექსპედიციის რაზმის იქ განლაგების მიუხედავად, რევოლუციური გამოვლენები კვლავ გრძელდებოდა. ამიტომ იყო, რომ 1906 წლის 8 ივნისს ქუთაისის გუბერნატორი კავკასიის მეფინანსკვლ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს ლეჩხუმის მაზრაში დამსჯელი ექსპედიციის დამატებითი ძალების გაგზავნის აუცილებლობის შესახებ მოახსენებდა. გუბერნატორი აღნიშნავდა, რომ ლეჩხუმის მაზრისა და სვანეთის საპრისტაოს სოფლებში: **ცაგერში, ალაბანაში, ჩოლურსა და ლაშხეთში** რევოლუციური გამოვლენები გრძელდებოდა. მოსახლეობა უარს ამბობდა იმ დაპირების შესრულებაზე, რომელიც 1906 წლის თებერვალში მაზრაში ჩასულ ქუთაისის დროებითი გენერალ-გუბერნატორს, გენერალ-მაიორ მაქსიმ ალიხანოვ-ავარსკის აღუთქვეს. უწყესრიგობა სვანეთში დღითიდღე ძლიერდება, სოფლების **ბეჩოსა და ეცერის** მოსახლეობამ თავად დადემქელიანის მიწები მიიტაცა. ქუთაისის გუბერნატორი ლეჩხუმისა და რაჭის მაზრებში წესრიგის აღდგენას იქ არსებული ჯარითა და პოლიციით შეუძლებლად მიიჩნევდა და დამატებითი ძალების გაგზავნას ითხოვდა. 1906 წლის 5 ივლისს ქუთაისის გუბერნიის ფანდარმერიის სამმართველოს უფროსი პოლიციური ლეონტიევი კავკასიის პოლიციის უფროსს, გენერალ-მაიორ ვეგენი შირინკინს მოახსენებდა, რომ ლეჩხუმის მაზრაში გაიგზავნა დამსჯელი ექსპედიციის რაზმი: ქვეითი ჯარის 1 ბატალიონი, დრაგუნთა 1 ესკადრონი, მეტყვიამფრქვევთა ოცეული და 2 სამთო ქვემეხი.

1906 წლის 14 ივნისს გორის მაზრის უფროსი თბილისის გუბერნატორს ცხინვალის უბნის სოფლებში გლეხთა რევოლუციური გამოვლენების ჩახშობის მიზნით დამსჯელი ექსპედიციის დამატებითი ძალების გაგზავნას ითხოვდა. მაზრის უფროსი იტყობინებოდა, რომ სოფელ **მეჯვრისხევიდან ცხინვალში** უკვე გადაიყვანა კაზაკთა 0,5 ასული, ხოლო მეჯვრისხევი წესრიგის დაცვა იესიკის კაზაკთა პოლკის მე-4

ასულს ჩააბარა, რომელიც სოფელ **ქვემო ჭალაში** იყო განლაგებული. დამსჯელთა თარეშს, გარდა რევოლუციონერთა რაზმებისა და ტერორისტებისა, ხშირად მშვიდობიანი მოსახლეობაც ეწირებოდა. 1906 წლის 4 ივლისს ტერორისტებმა თბილისის პოლიცმაისტერი დაჭრეს. პოლიციამ და ჯარმა თავდასხმის ადგილის შემოგარენის გაჩხრეკა დაიწყო. ჯარისკაცები თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაშიც შეიჭრნენ და მოკლეს გიმნაზიის დირექტორი **შიო ჩიტაძე**. 5 ივლისს პოლიციელებმა შიო ჩიტაძის ვეპაში მიხაილის საავადმყოფოში გადაიტანეს. გიმნაზიის შენობიდან ჯარისა და პოლიციის გასვლის შემდეგ მასწავლებლები, მოსწავლეები და თბილისის საზოგადოების წარმომადგენლები შენობის დათვალიერებას შეუდგნენ. გიმნაზიის სამივე სართული დარბეული იყო: დამსჯელებს როგორც საკლასო ოთახებსა და ბიბლიოთეკაში, ისე დირექტორისა და პედაგოგების საცხოვრებელ ბინებში მთელი ავეჯი დაემტვრიათ. შენობაში, ოთახებსა და დერეფნებში, სისხლის ნაკვალავი შეინიშნებოდა, რაც იმას აღსატურებდა, რომ დამსჯელებმა მასწავლებლები დაჭრეს. შიო ჩიტაძე გიმნაზიის სატრაპეზოში იქნა მოკლული, სადაც ყველაფერი სისხლით იყო მორწყული, იატაკზე სისხლის გუბე იდგა, სისხლის წვეთები კედლებსა და ჭერსაც კი ემჩნეოდა. მაგიდაზე სისხლით მოსერილი დანა ეგდო, როგორც ჩანს, ტყვიით დაჭრილი შიო ჩიტაძეს შემდეგ დანით ყელი გამოჭრეს.

1906 წლის 21 დეკემბერს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქალაქ ბათუმსა და კინტრიშის უბანში სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა. 1907 წლის 19 ივნისს რუსეთის იმპერიის მინისტრთა საბჭომ იმპერატორის წინაშე იშუამდგომლა, რათა ქალაქი ბათუმი და კინტრიშის უბანი განსაკუთრებული დაცვის ქვეშ დაეტოვებინათ. 20 ივნისს ნიკოლაი II-მ მინისტრთა საბჭოს შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

რევოლუციური მოძრაობა მთელ საქართველოში დაღმავლობის გზით მიდიოდა და ბოლოს და ბოლოს სრულიად დაცხრა კიდევ.

რევოლუციის დამარცხების მიზეზები

რევოლუციის დაწყებას მოუწადებელი შეხვდა რუსეთის იმპერიის ხელისუფლება (საიმპერატორო კარი, სახელმწიფო საბჭო, მინისტრთა კომიტეტი), შინაგან საქმეთა სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში არსებული უწყებები (ფანდარმთა კორპუსი, საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დაცვის განყოფილება - ოხრანკა), სამხედრო სამინისტრო. რევოლუციის მოუწადებელი შეხვდა საზოგადოების ყველა სოციალური ფენა (თავადაზნაურობა, ბურჟუაზია, მუშები, გლეხები, წვრილი ხელოსნები და სხვ.) და ყველა პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია. გაურკვეველ მდგომარეობაში იყო სხვადასხვა სოციალური ფენიდან გამოვლენილი რუსეთის ინტელიგენცია, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ იგი რევოლუციასა და ხელისუფლებას შორის მერყეობდა. ამ ფონზე, სამინაო და საგარეო პოლიტიკაში დაშვებული სერიოზული შეცდომების მიუხედავად, ყველაზე უკეთ ორგანიზებული

მაინც რუსეთის იმპერიის ცენტრალური ხელისუფლება (საიმპერატორო კარი, სახელმწიფო საბჭო, მინისტრთა კომიტეტი - მინისტრთა საბჭო) აღმოჩნდა, რომელმაც შეძლო არცთუ უნაკლო, მაგრამ სამოქალაქო ომში გამარჯვებისათვის საჭირო სტრატეგიის შემუშავება და მისი შესაფერი ტაქტიკის დასახვაც. სწორედეს გახლდათ რევოლუციის დამარცხების უმთავრესი მიზეზი: **რევოლუციური ძალები ხელისუფლებაზე გაცილებით ცუდად ორგანიზებული აღმოჩნდნენ, და ყველა გადამწყვეტი ეტაპზე უმნიშვნელოვანეს ბრძოლაში დამარცხდნენ. ფანდარმერიისა და პოლიციის სუსტი, ხშირად უსუსური მოქმედების ფონზე, ხელისუფლების დასაყრდენის ფუნქცია კარგად შეასრულა რევოლუციონერმა ჯარმა და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა. რევოლუციის შეიარაღებული ძალა როგორც ტაქტიკური, ისე სამხედრო-ტექნიკური თვალსაზრისით რევოლუციურ ჯართან შედარებით ძალზე სუსტი აღმოჩნდა და დამარცხდა კიდევ.**

ზემოთ ხსენებული მიზეზები ზოგადად დამახასიათებელი იყო როგორც რუსეთის, ისე საქართველოსათვის, თუმცა საქართველოში თავი იჩინა ზოგიერთმა თავისებურებამაც. რევოლუციის დამარცხებას რუსეთსა და საქართველოში მოჰყვა მომხდარის შეფასების, მარცხის მიზეზების გაანალიზების მცდელობა. ეს ხდებოდა როგორც ცხელ კვალზე, 1906-1907 წლებში, ისე მღვიანებისათვის. რევოლუციის მიზეზების გარკვევას ცდილობდნენ პოლიტიკური პარტიები და მათი ლიდერები, რევოლუციის მონაწილეები, სხვადასხვა სოციალური ჯგუფები და სხვ. ცხადა, ყველა სტატიის, ბროშურისა და წიგნის განხილვა შეუძლებელია. ჩვენ შევარჩიეთ ერთი ნაშრომი, რომელიც კარგად წარმოაჩენს საერთო ვითარებას. ესაა 1906 წელს თბილისში დაბეჭდილი **ტიტე ართმელაძის** ბროშურა **„მეთაურთა უმეტესობის უთაურობა და ჩვენებურ მებრძოლ ხალხის პირველი დამარცხება“**. ბროშურა 1906 წლის 10 აპრილსა დასრულებული, ანუ ავტორს საშუალება ჰქონდა გაეანალიზებინა 1905 წელსა და 1906 წლის დამდეგს მომხდარი მოვლენები. აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორმა არ იცოდა, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები 1906 წლის გაზაფხულიდან უახლოესი თვეების განმავლობაში, თუმცა ბევრი რამ სწორად იწინასწარმეტყველა.

ტიტე ართმელაძის ნაშრომი, ცხადა, მეცნიერული გამოკვლევა არ არის. ავტორის მიერ გამოტანილი დასკვნების ნაწილი ობიექტურია, ზოგიერთი - მცდარი, დანარჩენი - საპოლემიკო. ჩვენ ამ ნაშრომით იმითკომ დავინტერესდით, რომ გვეჩვენებინა, თუ როგორ მიმდინარეობდა ცხელ კვალზე განცდილი მარცხის შეფასება, რა კითხვები უჩნდებოდა საზოგადოებას და როგორი იყო ამ კითხვებზე პასუხები. ტიტე ართმელაძის ნაშრომი მომხდარიდან რამდენიმე კვირის ან თვის შემდეგ იწერებოდა. ამის გამო ნაშრომს ემოციისა და სუბიექტური განწყობის დიდი კვალი ემჩნევა. გარდა ამისა, ნაშრომს გარკვეული დაღი დასვა პოლიტიკურ პარტიათა შორის მიმდინარე პოლემიკამ, ამ პოლემიკაში კი ტიტე ართმელაძე მხარეს წარმოადგენდა. მიუხედავად ამ

ნაკლისა, ნაშრომი დიდ ინტერესს იწვევს და მასში მოცემული დასკვნები კარგად ასახავს იმდროინდელი საზოგადოების ნაწილის განწყობილებას.

ნაშრომისათვის, განსაკუთრებით მისი პირველი ნაწილისათვის, დამახასიათებელია ზოგადი მსჯელობა და კონკრეტულ მასალას მოკლებული დასკვნები. ვინც 1905 წლის რევოლუციის ისტორიას ღრმად და საფუძვლიანად იცნობს, ადვილად დარწმუნდება, რომ დასკვნებისა და განზოგადებებისათვის მასალა ქართული სინამდვილიდან არის აღებული და ყველა დასკვნის უკან ცხადად მოჩანს კონკრეტული პიროვნება, პოლიტიკური პარტია, საყოველთაოდ ცნობილი მოვლენა. კონკრეტიზაციისაგან ავტორი თავს ალბათ იმის გამოიკავებს, რომ ბროშურა 1906 წელს, დამსჯელი ექსპედიციების თარეშის პერიოდში დაბეჭდა და ისიც იძულებული იყო კონკრეტული ადამიანების მოხსენიებისაგან თავი შეეკავებინა. რაც შეეხება რევოლუციის განვითარებას საქართველოში, ტიტე ართმელაძე განზოგადებისათვის მასალას **გურიაში** რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან იღებს, თუმცა დღეს გარკვევით შეიძლება ითქვას, ის საერთო ტენდენციები და შეფასებები, რაც გურიას ეხება, დამახასიათებელი იყო საქართველოს ყველა რევოლუციისათვის. ასე რომ, ბროშურაში მოტანილი დასკვნები და განზოგადებები მთელ საქართველოზე შეიძლება განვაერთო. მკითხველი რომ უკეთ გაერკვეს ბროშურაში წარმოდგენილ მასალაში, დაეძინო: რევოლუციაში დამარცხების მიზეზად ავტორი მიიჩნევს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებს (თბილისის, ბათუმის, გურიის, იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტებს) და ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელებს („ჩვენებურ ნასწავლ-განათლებულ ხალხს“, „ინტელიგენტ მოღვაწეებს“, „ნასწავლ-წინამძღოლ მეთაურებს“). ავტორი კონკრეტული პიროვნებების ხსენებისაგან იმდენად იკავებს თავს, გურიის რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელს, სოციალ-დემოკრატ ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილსაც კი არ ახსენებს.

ტიტე ართმელაძე მიიჩნევდა, რომ ყოველგვარი მოვლენა კრიტიკულად უნდა შეფასდეს, რის აუცილებლობასაც იგი შემდეგში ხედავს: „კრიტიკა არის ისეთი რამ იარაღი, რომლის შემწეობითაც კრიტიკოსი სდევნის და ანადგურებს იმ არა სასურველ ნაკლებობებს, რომელიც თავისთავათ ასუსტებს ამა თუ იმ მოქმედება-მისწრაფების ნაყოფიერებას, მიმართულს ხალხთა საკეთილდღეოდ.“ ავტორი „ხალხთა საკეთილდღეოდ“ მიმართულ მოვლენად რევოლუციას მიიჩნევს და ცდილობს ახსნას რევოლუციის დამარცხების მიზეზები. ეს რომ ადვილი საქმე არ არის, ტიტე ართმელაძეს კარგად ესმის. ისიც გარკვევით იცის, რომ ცალკეული პიროვნება ამ მისიას ვერ შეასრულებს, საჭიროა მთელი საზოგადოების გულისხმობა და ერთობლივი მოქმედება.

ვახტანგ გურული
საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918) წ.3. გვ.573-536

ქართველი და თურქი მხატვრების ერთობლივი გამოფენა ოზურგეთში



ალიონი. 22 აგვისტოს მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრმა უმასპინძლა ქართველი და თურქი მხატვრების ერთობლივ, ვგუფურ გამოფენას.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო 12 მხატვრის 48 ნამუშევარი. ეს ავტორები: აზიზ კარაკოჩი, ფერმან აილინი, იბრაჰიმ კუზეივესელი თაკარი (თურქეთი); დავით უღრელიძე, თანდია თაყაიშვილი, ემზარ საბულიანი, თამაზ, ვია დარჩიები, მათა ცეცხლაძე, ვახტანგ მერგულიშვილი. — საერთაშორისო გამოფენები, უცხო და პირველი არაა ჩვენთვის. მაგრამ ცენტრის 35 წლიან ისტორიაში ეს არის თურქი მხატვრების პირველი სტუმრობა მხატვრების ეს ვგუფი მოღვაწეობს თურქეთის დედაქალაქ ანკარაში. მათი ჩვენთან დაკავშირება მოხდა წარმოშობით ოზურგეთელი მხატვრის დავით უღრელიძის მეშვეობით, რომელიც უკვე 20 წელზე მეტია მოღვაწეობს ანკარაში.



თანამედროვე შემოქმედებით ცხოვრებაში, გაცვლითი გამოფენები, მნიშვნელოვანია სახვითი ხელოვნების პოპულარიზაციისთვის. უცხოელ მხატვრებთან პირველი, ცოცხალი კონტაქტები, აუცილებელია ჩვენი ცნობადობის გაზრდისთვის. მადლობას უხდით ჩვენს

სტუმრებს ამ შესაძლებლობისთვის — განაცხადა ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის დირექტორმა **აფთხიძე თაყაიშვილმა**. — ჩვენი ურთიერთობები უნდა გაძლიერდეს, ხელოვნების და ფოლკლორის შეცნობა-გაცნობა, ურთიერთობების გაძლიერება ქართველ და თურქ მხატვრებს შორის. ჩვენ აქ გამოფენაში მონაწილე ქართველ მხატვრებს ანკარაში ვგაბატავებთ გამოფენაზე — განაცხადა თავის სიტყვაში თურქი მხატვრების ვგუფის ხელმძღვანელმა **ფერმან აილინი**. ექსპოზიციაში საინტერესოდ შეერწყა ორი კულტურა. სასამაგონო სანახ-

სანიოლა სამართველოს ნაკრების უმაღლესობა დაასახელა



საქართველოს საფეხბურთო ნაკრები 7 სექტემბერს, უფას ერთა ლიგის 2024/25 წლის სეზონის გათამაშებას იწყებს. ვილი სანიოლის გუნდი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ჩეხეთის ნაკრებს დაუპირისპირდება. ერთნაირი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ერთა ლიგის საწყისი ორი ტურისთვის 23 ფეხბურთელი გამოიძახა. ერთა ლიგის მეორე ტურში საქართველოს ნაკრები 10 სექტემბერს, სტუმრად, ალბანეთს შეხვდება.

საქართველოს ნაკრებში ორი დებიუტანტი — უკრაინელი ჩერკასის წვერი, პოზიციით ნახევარმცველი შოთა ნონიკაშვილი და ყაზახური კაირათის მცველი ლუკა გადარანი. ქართველი ფეხბურთელები მატჩებისთვის მოსამზადებელ უტას თბილისში 2 სექტემბერს იწყებენ. საქართველოს ნაკრებმა ერთა ლიგის 1 ვგუფში თამაშის უფლება, ჩ ლიგაში გამარჯვების შემდეგ მოიპოვა. საქართველოს ნაკრების შემადგენლობა: **მეკარე: გიორგი მამარდაშვილი** (ვალენსია, ესპანეთი), **გიორგი ლორია** (ომონია არადიპუ, კვიპროსი), **ლუკა გუგუშაშვილი** (პანსერატიკოსი, საბერძნეთი) და **გურამ კაშია** (სლოვანი, სლოვაკეთი), **ოთარ კაკაბაძე** (კრაკოვია, პოლონეთი), **გიორგი გველესიანი** (პერსე-

პოლისი, ირანი), **ლამა დგალი** (აპოლი, კვიპროსი), **ლუკა ლორიაშვილი** (კრემონეზე, იტალია), **გიორგი გორილაშვილი** (კოპენჰაგენი, დანია), **ირაკლი აზაროვი** (შახტარი, უკრაინა), **ლუკა გადარანი** (კაირათი, ყაზახეთი), **ვიმე ტაბიძე** (დინამო მსხაწყალა, რუსეთი) ნახევარდაცვა/თავდასხმა: **გიორგი ჩაკვატაძე** (უტფორდი, ინგლისი), **ოთარ კიტეშვილი** (შტუტგარტი, ავსტრია), **გიორგი ქორაშვილი** (ლევანტე, ესპანეთი), **სანდრო ალთუნაშვილი** (ვოლფსბერგი, ავსტრია), **შოთა ნონიკაშვილი** (ჩერკასი, უკრაინა), **გიორგი წიტიანი** (გრანადა, ესპანეთი), **სამა ლობჯინიძე** (ატლანტა უნივერსალი, აშშ), **გიორგი მიქაუტაძე** (ლიონის ოლიმპიკი, საფრანგეთი), **ბუღუ ზიგნიძე** (კარლსრუე, გერმანია), **სერჯ კვარაცხელია** (ნაპოლი, იტალია), **ზურაბი დავითაშვილი** (სენტ-ეტიენი, საფრანგეთი).

სოფელ აკეთში დოლი გაიმართა



სოფელ აკეთში დოლი გაიმართა. მასში მონაწილეობას 20-მდე ცხენოსანი იღებდა. გამარჯვება **ლიზი ზოფერიამ**, **ლუკა პაქაძემ** და **დავით შარაშენიძემ** მოიპოვეს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** და

ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა გამარჯვებულებს თასები და მედლები გადასცეს. ლონისძიება მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებითა და მხარდაჭერით ჩატარდა.


ბიორები გუჯაბიძის სახელობის პრიზი „ტაბანათმა“ მოიპოვა



სოფელ სუფსაში გიორგი გუჯაბიძის სახელობის მიძღვნილი ტურნირი მინი ფეხბურთში დასრულდა. შეჯიბრებაში მონაწილეობას შვიდი გუნდი იღებდა. ფინალურ დაპირისპირებაში ერთმანეთს „ტაბანათი“ და „უნაგირა“ შეხვდა. საკმაოდ დაძაბულ მატჩში გამარჯვება „ტაბანათმა“ მოიპოვა. გამარჯვებულებს თასები და მედლები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** მოადგილე **თორნიკე ტყეშელაშვილთან** ერთად გადასცა. ტურნირის ორგანიზატორი ლან-

ჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ძეგლოდაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურია.

თამაზ ბაქანიძე: „უცხო რაღაც გავარდა და დავინახეთ, გურამი მოწყდა და ქვემოთ მივრინავდა“ როგორ დაიღუპა გურამ თიკანაძე



1963 წლის 27 აგვისტოს მწვერვალ შხარადან დაშვებისას გურამ თიკანაძე დაიღუპა. 1997 წელს კავკასიონზე ექსპედიციის დროს, კარავში დამისთვეისას ჩვენი ვგუფის ხელმძღვანელმა, ცნობილმა მთამსვლელმა თამაზ ბაქანიძემ გვიამბო: „იმ ექსპედიციაში გურამთან ერთად ვიყავი. იგი ორი წლის გაცნობილი მყავდა და ერთად ვვარჯიშობდით. კემპადებოლით იმყამინდელი

სსრ კავშირის პირველობისთვის ერთეულებს შორის. თეთნულდზე ავადი ერთად, მაგრამ 1962 წელს ბებრი უბედური შემთხვევა მოხდა და ერთეულთა პირველობები შეწყვიტეს. გურამს არაერთი მწვერვალი ჰქონდა დაპყრობილი. იგი წარმატებას წარმატებაზე აღწევდა როგორც ფოტოხელოვნებაში, ისე ალპინიზმში. ალპინიზმში საკავშირო პირველობის ვერცხლის მედალი ჰქონდა მიღებული. 1962 წელს მოღვენის საერთაშორისო ფოტოკონკურსში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა მისმა ნამუშევარმა „თბილისის ზღვამ“, ეს პირველი საერთაშორისო ჯილდო იყო საქართველოს ფოტოხელოვნების ისტორიაში. მოკლედ, ამ ჰუმანიტარ კეთილშობილ, ახოვან და უღამაზეს ვაჟკაცთან ერთად რომელ მთამსვლელს არ მოუნდებოდა მრისხანე მწვერვალთან შერკინება. ვგუფს, რომელსაც ცენტრალურ შხარაზე უნდა განეხორციელებინა ასვლა, გურამ თიკანაძე ხელმძღვანელობდა. ჩემთან ერთად ამ ვგუფში იყვნენ: ვანო წიკლაური, გიორგი კობიძე, ვალიკო ფოფხაძე. ასვლისას გურამის მეწყვილე ვიყავი, — მასთან ერთ თოვში ჩაბმული. ვიცოდით, გურამს ამ დროისთვის დიდი ნერვულობა შეხვდა, მაგრამ ჩვენთან არ იმჩნევდა.

ეს ყოველივე დაშვებისას მოხდა. დაახლოებით 4800 მეტრ სიმაღლეზე ვიყავით. წინ ფრიალო, შევეული კედელი გვქონდა გასავლელი. პალო თავად გურამმა დაავო უცებ რაღაც გავარდა და დავინახეთ, გურამი მოწყდა და ქვემოთ მივრინავდა. პირველი დაცემისას შეეცადა ვარდნა შეემცირებინა, შემდეგ მეორედ დაეცა და მთელი სამასი მეტრით ქვემოთ ჩაიქროლა — მივეშველით-მეთქი — წამომცდა. ვანო წიკლაურის ცრემლიან თვალებს რომ შევხედე, უცებ მოვედი გონს და მივხედი, რომ გურამი აღარ იყო.“ (ვახეთი „გურიის მთები“, №2, 1998 წელი). ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ ოზურგეთის სამხატვრო გალერეაში გურამ თიკანაძისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა მოეწყო, ჩვენი ექსპედიციის წევრის რევაზ ცქვიტინიძის ფოტოებთან ერთად, გურამ თიკანაძის მეგობრის, ცნობილი ფოტოხელოვნის ნარიმან ერქომაიშვილის ფოტოარქივიც იყო წარმოდგენილი. იგი გურამ თიკანაძესთან ერთად არაერთ ექსპედიციაში იმყოფებოდა. მასთან გურამის გადაღებული ფირებიც ინახებოდა. ნარიმან ერქომაიშვილი რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა. **ნუგზარ ასათიანი**

გვი, ღრუბელი +17+25 5 სექტემბერი ხუთშაბათი	ვლ-ჭამი, +14+24 6 სექტემბერი პარასკევი	გვი, ღრუბელი +16+26 7 სექტემბერი შაბათი	ღრუბელი +17+22 8 სექტემბერი კვირა	გვი, ღრუბელი +16+22 9 სექტემბერი ორშაბათი	ღრუბელი +17+25 10 სექტემბერი სამშაბათი	მცირე წვიმა +17+24 11 სექტემბერი ოთხშაბათი
--	--	---	---	---	--	--